პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 28 ოქტომბერი, 1944 წ. № 218 (7171). ფასი 20 კაპ.

**უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, სწრაფი შეტევის შედეგად, გუშინ, 27 ოქტომბერს, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს იმიერკარპატების უკრაინის მთავარი ქალაქი—უჟგოროდი—კომუნიკაციების დიდი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი.**

**დიდება გმირ წითელ არმიას! დიდება უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს — ამხანაგ სტალინს!**

# ბრძანება
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### არმიის გენერალ პეშროვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, სწრაფი შეტევის შედეგად, დღეს, 27 ოქტომბერს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიკავეს იმიერკარპატების უკრაინის მთავარი ქალაქი—უჟგოროდი—კომუნიკაციების დიდი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი.

უჟგოროდის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შურავლიოვის, გენერალ-მაიორ აფონინის, გენერალ-მაიორ ბელნიკოვის, გენერალ-მაიორ დრიომინის, გენერალ-მაიორ პოდშივალოვის, გენერალ-მაიორ შროლოვის, გენერალ-მაიორ შადეევის, გენერალ-მაიორ პრონსტროვის, პოლკოვნიკ ჩორნის, პოლკოვნიკ შერდიენკოს, პოლკოვნიკ პეშკოვის, პოდპოლკოვნიკ აკულოვის, მაიორ ტარასოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კარიოფილის, არტილერიის გენერალ-მაიორ ნაიდიონოვკოვის, პოლკოვნიკ ვორობიოვის, პოლკოვნიკ ნოვიკოვის, პოდპოლკოვნიკ ბრუკის, პოდპოლკოვნიკ ეშინის, პოდპოლკოვნიკ ნიუხალოვის, პოდპოლკოვნიკ ნაზაროვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ მორუსის, პოდპოლკოვნიკ ოლხოვენკოს ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟდანოვის, პოლკოვნიკ ჩუკის, მაიორ გარულინის, მაიორ შაპელსკის, მაიორ მარგოშინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლესნიკოვის, პოლკოვნიკ ბუხაროვის, პოდპოლკოვნიკ ნაუმოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მატვეევის, პოლკოვნიკ სტეპანიანის, მაიორ ყოროტკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი უჟგოროდის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „უჟგოროდის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 27 ოქტომბერს, 21 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს უჟგოროდი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ ოქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ უჟგოროდის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 27 ოქტომბერი.

წულუკიძე

## რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. კუპრაშვილს წულუკიძის რაიონის მედსანშრომის პროფკავშირის თავმჯდომარეს ამხ. სულუხიას

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა წულუკიძის რაიონის მედიცინის მუშაკებს, რომლებმაც საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილია „საქართველოს მედიცინის მუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 61.560 მანეთი ფულად, 45.725 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები და 14.792 მანეთი გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები.

ი. სტალინი

სურამი

## საქართველოს ჯანსახკომის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმს ამხ. ქაჯაიას პარფორგს ამხ. ლაცაბიძეს ადგილკომის თავმჯდომარეს ამხ. ნოდიას

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მუშაკებს, რომლებმაც საბრძოლო თვითმფრინავ „საქართველოს მედიცინის მუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 134.000 მანეთი ფულად, სახელმწიფო სესხთა ობლიგაციებისა და გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციის სახით.

ი. სტალინი

# ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**მრავალშვილიანი დედებისათვის საპატიო წოდება „გმირი დედის“ მინიჭების შესახებ**

მიენიჭოთ საპატიო წოდება „გმირი დედა“ და გადაეცეთ ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც ათი და მეტი შვილი შობეს და აღზარდეს:

1. ანა საველის ასულ **ალექსახინას**—დიასახლისს, მოსკოვის ოლქის ბუშკინის რაიონის მუშათა დაბა მამონტოვკა.
2. მარიამ პლატონის ასულ **არკადიევას**—დიასახლისს, ლენინგრადის ოლქის ტიხვინის რაიონის მუშათა დაბა ბოქსიტოგორსკი.
3. ვალიმე გილმანის ასულ **ასადულინას**—ბაშკირეთის ასსრ ჩიშმის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
4. ანისია მიხეილის ასულ **ბელოუსოვას**—მოსკოვის ოლქის კოლომნის რაიონის პოდბერეზნიკოვის კოლმეურნეობის წევრს.
5. მაგირავზე ახმეტზიანის ასულ **ბიქტიმიროვას**—თათრეთის ასსრ დუბიაზის რაიონის კზილ-ბაირაკის კოლმეურნეობის წევრს.
6. ტატიანა სერგის ასულ **ბუბნოვას**—სვერდლოვსკის ოლქის ვერხნე ბუშმის რაიონის ტორფმომარაგების სასადილოს მუშას.
7. ქსენია ივანეს ასულ **ზოტოვას**—თათრეთის ასსრ ტეტიუშის რაიონის კოლმეურნეობა „ვერხნი პუტის“ წევრს.
8. სერაფიმა ვასილის ასულ **იგნატიევას**—დიასახლისს, ქალაქი ლენინგრადი.
9. ანა სერგის ასულ **კირილინას**—კალინინის ოლქის ნოვოტორჟსკის რაიონის კოლმეურნეობა „1-ლი მაისის“ წევრს.
10. მარიამ მაქსიმეს ასულ **რიაკოვას**—დიასახლისს, ქალაქი ტულა.
11. მარიამ იაგორის ასულ **სმაგინას**—დიასახლისს, ქალაქ მოსკოვის კიროვის რაიონი.
12. ევდოკია პავლეს ასულ **სოლდატოვას**—გორკის ოლქის შატკოვის რაიონის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
13. ევდოკია იოანეს ასულ **ტროფიმოვას**—კალინინის ოლქის კალინინის რაიონის კოლმეურნეობა „1-ლი მაისის“ მუშას.
14. თეოდორა ნიკოლოზის ასულ **ფილიპოვას**—ლენინგრადის ოლქის კინგისეპის რაიონის კოლმეურნეობა „ტრუდოვიკის“ წევრს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 27 ოქტომბერი.

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
## 27 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

27 ოქტომბრის განმავლობაში აღმოსავლეთ პრუსიაში ქალაქ შტალუპენენის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები კიშენი, პატილუშენი, აისკემენი.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, სწრაფი შეტევის შედეგად, 27 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიკავეს იმიერკარპატების უკრაინის მთავარი ქალაქი უჟგოროდი—კომუნიკაციების დიდი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის სადგური ბერეგოვო, დიდი დასახლებული პუნქტები სტარინა, ულიჩი, ზარიჩოვი, პერიჩინი, სერედნე, კოშოროვცე, ზნიაცევო, ველიკიე ლუჩკი, გოროდო, მალოე და ველიკოე გუტოვო და რკინიგზის სადგურები მალოე ბერეზნე, დუბრინიჩი, პერეჩინი, სტრაბიჩოვო, გორშავი.

უნგრეთის ტერიტორიაზე, ქალაქ სატუ-მარეს ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები დაროცი, შატმარჩიკი, კიშ-არი, ფეხერ-დიარმატი, მატოლჩი, დიერტელეკი, ნად-ეჰედი, გებე, ნიირჩასარი, ნიირ-ვაშვარი.

ნიირედხაზის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე, ბელგრადის ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ნოვისადი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი კუღლა, ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური ბაჩკა პალანკა, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები სტაპარი, ვეპროვაცი, ირიგი, ინდია, სტარა პაზოვა, პლატიჩევო, ოგარი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

26 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 128 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

### ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა ბუდაპეშტზე

26 ოქტომბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტზე.

სამხედრო-სამრეწველო ობიექტების დაბომბვის შედეგად ბუდაპეშტში ბევრი ხანძარი გაჩნდა, მათ შორის ათი ხანძარი ძალიან დიდი ოდენობისა. ცეცხლში ხდებოდა აფეთქებანი, განსაკუთრებით ძლიერი აფეთქებანი ძველი ციხის, ვაგზლის, მთავარი საბაჟოს, ქალაქის სამხრეთ და სადგურის რაიონში.

ხანძრების ალს ჩვენი მფრინავები სამიზნოდან წამოსვლისას 200-ზე მეტ კილომეტრ მანძილზე ხედავდნენ.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარები გაბრძოლებენ შეუპოვარ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან. მთელ რიგ უბნებზე გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდმა ძალებმა კონტრიერიშები მოიტანეს. ნ შენაერთის ნაწილებმა მტრის კონტრიერიშები მოიგერიეს, წინ წაიწიეს და ჰიტლერელები განდევნეს რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ერთ რაიონში მოწინააღმდეგემ თავდაპირველად მოახერხა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენი ნაწილების საბრძოლო წყობილებაში. საბჭოთა ქვეითებმა სწრაფი საფლანგო დარტყმებით გერმანელებს უკანდასახევი გზა მოუჭრეს, ხოლო შემდეგ ისინი გაჟლიტეს. წამოყენებულია ტყვეები. ერთი დღის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა გაჟლიტეს 3 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და დამწყვარია მოწინააღმდეგის 95 ტანკი, 11 ჯავშანტრანსპორტიორი და 100-ზე მეტი ავტომანქანა.

* * *

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. საბჭოთა ტანკებმა და მოტოქვეითმა ჯარმა გაანადგურეს მოწინააღმდეგე ქალაქ მუკაჩევოს რაიონში და იმიერკარპატების უკრაინის მთავარ ქალაქ უჟგოროდისაკენ გაექანენ. მოწინააღმდეგე გამაგრდა გზატკეცილთან დიდ დასახლებულ პუნქტ სერედნეში (15 კილომეტრზე უჟგოროდის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარები. საბჭოთა მოძრავი ნაწილები შეუჩერებლივ შეიჭრნენ ამ დასახლებულ პუნქტში. ტანკებისა და ქვეითი ჯარის დარტყმა იმდენად სწრაფი იყო, რომ ჰიტლერელებმა ვერ შესძლეს ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა, უწესრიგოდ დაიხიეს უკან და ბევრი იარაღი და სამხედრო მასალა მიატოვეს. საბჭოთა ნაწილებმა წინ წაიწიეს და უჟგოროდს მიადგნენ. საბჭოთა ტანკისტებმა მარჯვე შემოვლითი მანევრით მტრის გარნიზონს უკანდასახევი გზა მოუჭრეს და ქალაქის ჭუჭებში შეიჭრნენ. სხვა ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს ჰიტლერელები, რომლებიც გამაგრდნენ დიდ დასაყრდენ პუნქტ პერეჩინში, კარპატის მთების სამხრეთ კლდეებზე, და უჟგოროდში ჩრდილოეთიდან შეიჭრნენ. ქუჩებში გამართული გააფთრებული ბრძოლების შედეგად უჟგოროდი გაწმენდილია გერმანელ-უნგრელ დამპყრობთაგან. დღის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 2,500-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ ბევრი საჭურველი, საწყობები საომარ მასალიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად.

* * *

ქალაქ სატუ-მარეს ჩრდილო-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს 15 კილომეტრით. დაკავებულია დიდი დასახლებული პუნქტი კიშ-არი, რომლისთვის ბრძოლებში გაჟლეტილია მოწინააღმდეგის ორი ასეული. სხვა უბანზე გერმანელებმა და უნგრელებმა კონტრიერიშები მოიტანეს. ნ შენაერთის მებრძოლებმა არტილერიისა და ტანკების დახმარებით მტრის ყველა კონტრიერიში მოიგერიეს. ჩვენი პოზიციების მისადგომებზე დარჩა 800-ზე მეტი ჰიტლერელის გვამი და 15 დამწყვარი ტანკი.

უნგრეთის ტერიტორიაზე ერთ რაიონში ჩვენი მოძრავი ნაწილები ავტომატრომზე შეიჭრნენ და მოსპეს მოწინააღმდეგის 70 თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებმა დაუშინეს ვარდეს ნავსადგურს და გერმანელთა სამხედრო ნაგებობებს ამ ნავსადგურის რაიონში. საარტილერიო ცეცხლის შედეგად ნავსადგურის ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძრები, რომელთაც თან ახლდა აფეთქებანი. ფლოტის ავიაციამ კარანგერის ნახევარკუნძულთან ჩასძირა გერმანიის ორი ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი, საგუშაგო ხომალდი, თვითმავალი სადესანტო კარჩაპი და ოთხი მოტობოტი. გარდა ამისა, დაზიანებულია მოწინააღმდეგის რამდენიმე სხვა გემი. გერმანელთა ერთერთი დაზიანებული ტრანსპორტი 5 ათასი ტონა წყალწყვისა ნაპირზე გაირიყა.

* * *

ჩვენმა ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს გერმანელთა ტრანსპორტი. ბალტიის ფლოტის მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 13 თვითმფრინავი.

# პრესიის მიწა-წყალზე

პრუსიის ერთი ქალაქის მისადგომებზე უკვე რამდენიმე დღეა გაფთრებული ბრძოლება გრძელდება. გერმანიის სარდლობამ ბრძოლის რაიონში სასწრაფოდ მოიშველია სატანკო და ქვეითი ნაწილები და შეუჩერებლივ გამოიყავს ისინი ბრძოლაში. გერმანელები დიდძალი ტანკისა და თვითმავალი ქვემეხის დახმარებით ამაოდ ცდილობენ შეაჩერონ ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების შეტევა.

ჩვენს სახმელეთო ნაწილებს კვლავინდებურად დიდ დახმარებას უწევენ ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ხრიუკინის მფრინავები. შემოდგომის რთული მეტეოროლოგიური ვითარების მიუხედავად, საბჭოთა ავიაცია, რომელიც ჩვენს არტილერიასა და ტანკებთან მჭიდრო ურთიერთობით მოქმედებს, წარმატებით ანადგურებს მტერს. ამ დღეების ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა მოიერიშეებმა. ჰიტლერელთა რაც შეიძლება მეტი ტანკის მოსპობა ყოველი მოიერიშის დევიზი და დირსების საქმე გახდა.

გერმანელებმა ჩვენი შემტევი შენაერთის წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ტანკების, თვითმავალი ქვემეხებისა და ჯავშანტრანსპორტიორების დიდი ჯგუფი ქვეითის ჯარიანად. ამ დაჯგუფების მოსპობისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მოიერიშეებმა. „ილიუშინ-2“ თვითმფრინავთა ჯგუფებმა მეთაურობდნენ გვარდიის მაიორი პეტრე ყელტუხინი და გვარდიის კაპიტანი იაკობ კოროვინი. „ილები“ ბრძოლის ველის თავზე გამოჩნდნენ და განუწყვეტლივ მიჰქონდათ იერიშები მტრის მანქანებზე.

ჯას შემდეგ, რაც ბომბების პირდაპირი მოხვედრებით და ტყვიამფრქვევთა ჯერებით ცეცხლი მოეკიდა რამდენიმე ტანკსა და ჯავშანტრანსპორტიორს, მოწინააღმდეგის რიგებში არევ-დარევა მოხდა. ამით ისარგებლეს ჩვენმა ტანკისტებმა და ქვეითებმა. მათ მოიგერიეს მტრის კონტრიერიში და შეტევაზე გაემართნენ მტრის პოზიციების წინააღმდეგ. საბჭოთა სახმელეთო ნაწილები მდინარეში გავიდნენ, გერმანელები შეავიწროვეს და ახალი, უფრო ხელსაყრელი ზღუდე დაიკავეს.

საბჭოთა მოიერიშეები გერმანელთა ტანკებს მხოლოდ ბრძოლის ველზე რიდი სპობენ. „ილიუშინ-2“ თვითმფრინავები მეთაურების როდინისა და კოროვინის წინამძღოლობით დავალების შესასრულებლად განსაკუთრებით ცუდ ამინდში გაფრინდნენ. სამიზნის მახლობლად მათ გზა გადაუღობა სქელმა ღრუბლიანობამ. მფრინავებმა ძირს დაიწიეს. ღრუბლებს ქვემოთ 150-200 მეტრ სიმაღლეზე რომ სამიზნოსთან მივიდნენ, მათ მოწინააღმდეგის საზენიტო ბატარეები მძლავრი გადამღობი ცეცხლით შეხვდნენ. ყუმბარების გასკდომის ზონაში მანევრირებით საბჭოთა მანქანები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ გერმანელთა ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხებისაკენ, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ იერიშის ზღუდეზე. პირველივე იერიშით საბჭოთა მოიერიშეებმა ცეცხლი წაუკიდეს მტრის რამდენიმე ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს. შემდეგს იერიშებში მათ აგრეთვე გერმანელთა ბევრი მანქანა დაუხიანეს.

მოიერიშეთა ეკიპაჟები განუწყვეტლივ ეძებენ გერმანელთა ტანკებს გზაში, რაკინეზებით გადატანის დროს. მზვერავთა მიერ მოტანილი ცნობების მიხედვით, დაუყოვნებლივ გაფრინდებიან ხოლმე „ილიუშინ-2“ ჯგუფები, რომლებიც ურტყამენ მტრის ტექნიკას და საშუალებას არ აძლევენ მას ბრძოლის ადგილას მოზიდონ ოჟი.

„ილიუშინ-2“ ჯგუფებმა გვარდიის უფროსი ლეიტენანტ ივანე პიატიორკის და გვარდიის ლეიტენანტ ვიქტორ ვეტროვის მეთაურობით გზა მოუკრეს ტანკებს, თვითმავალი ქვემეხებისა და ავტომანქანების დიდ კოლონას ტვირთიანად და ცოცხალ ძალიანად, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მოდიოდნენ. რამდენიმე იერიშის შედეგად საბჭოთა მფრინავებმა ცეცხლი წაუკიდეს და დაამტვრიეს 19 ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და ავტომანქანა.

**გვარდიის კაპიტანი ბ. კოტელნიკოვი**
აღმოსავლეთი პრუსია, 27 ოქტომბერი. (საკავშირო სპეც. კორ.).

# კირკენესის ნავსადგურის დაცემა

კარელიის ფრონტი, 26 ოქტომბერი. (საკავშირო სპეც. კორ.). არმიის გენერალ მერეცკოვის ჯარები, რომლებიც განაგრძობენ შეტევას პეტსამოს დასავლეთით და დიდ ზიანს აყენებენ გერმანიის არმიის ლაპლანდიის დაჯგუფების ტექნიკისა და ცოცხალ ძალის მხრივ, მიადგნენ სსრ კავშირისა და ნორვეგიის სახელმწიფო საზღვარს. საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც სდევნიან უკანდახეულ პიტლერელთა ჯარებს, გადასჭრეს ნორვეგიის სახელმწიფო საზღვარი და, მიიწევენ რა დასავლეთისაკენ ბარენცის ზღვის სანაპიროს გასწვრივ, მიადგნენ ნორვეგიის ქალაქ კირკენესს.

სანავსადგურო ქალაქი კირკენესი მდებარეობს ვარანგერ-ფიორდის გაშტოებაზე და წარმოადგენს გერმანელი ოკუპანტების მიერ ძლიერ გამაგრებულ დიდმნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზას. კირკენესი არის აგრეთვე ცენტრი ნორვეგიის რკინის მადნის უდიდესი ბუდობისა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევდნენ ფაშისტი დამპყრობლები.

გერმანიის სარდლობამ ოკუპაციის შემდეგ ნორვეგიის ნავსადგური კირკენესი გადააქცია ნამდვილ ციხედ, რომელსაც უნდა დაეფარა მტრის მრავალრიცხოვანი საავიაციო ბაზები, აგრეთვე წყალქვეშა ნავების და წყალზედა ხომალდების ბაზები, რომლებიც სკანდინავიის ნახევარკუნძულს ჩრდილოეთ სანაპიროს ფიორდებში მდებარეობენ. გერმანელთა ფლოტი, რომელსაც ბაზა აქ ჰქონდა, ცდილობდა მოეშალა მოკავშირეთა საზღვაო კომუნიკაციები, რომლებიც ათრეთებენ ინგლისსა და ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურებს და საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ ნავსადგურებს.

იმიერპოლარეთის საომარი მოქმედების ასპარეზი, სადაც გაჩაღდა ბრძოლა კირკენესისათვის, გამსაკუთრებულ სიძნელეებს წარმოადგენს შემტევთათვის. ჭაობიან ტუნდრებს სცვლის ქვიანი ზოლები, ტბები, საფლობი ჭაობები. კირკენესის აღმოსავლეთით 10 კილომეტრზე ყურეს ერთვის განიერი და წყალუხვი მდინარე პასვიკ-ელვა, რომელიც ალაგ-ალაგ გადასერილია ჰორომებითა და ჩანჩქერებით.

ქალაქ კირკენესის მისადგომებთან თავმოყრილ მტრის ნაწილებს ეკავათ ხელსაყრელი, ხანგრძლივი თავდაცვისთვის მარჯვე პოზიციები. მაღლობები, რომლებიც გარს არტყია ქალაქის მისადგომებს და დაბლობს დაჰყურებს, ძლიერ ჰქონდა გამაგრებული მოწინააღმდეგეს. გერმანელებმა მოასწრეს გამოეყვანათ აქ არტილერია, რომელიც უშენდა მტრის ჯიმაგრეთა ყველა მისასვლელს. გერმანელთა პოზიციების მარცხენა ფლანგს იფარავდა ბუნებრივი ზღუდე — ბარენცოვრდენის ყურე.

კარელიის ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც ბრძოლებით წინ წაიწიეს 20 კილომეტრამდე და კირკენესის მისადგომებზე გავიდნენ, მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად მოახდინეს შემოვლითი მანევრი. საბჭოთა ნაწილებმა გაღმა ნაპირზე გადასერილი ლახვარი ჩასცეს გერმანელთა გარნიზონს ფლანგიდან, საიდანაც მოწინააღმდეგე ყველაზე ნაკლებად ელოდა ჩვენი ქვეგანაყოფების გამოჩენას. ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა ნაწილები, რომლებიც იცავდნენ ქალაქსა და ნავსადგურს და დაიკავეს მტრის დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა ჩრდილოეთ ნორვეგიაში—ქალაქი და ნავსადგური კირკენესი.

წითელი არმიის ჯარების ახალი გამარჯვება საფრთხეს უქმნის მტრის მრავალრიცხოვან საავიაციო და საზღვაო ბაზებს, რომლებიც ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობენ.

**მ. მაიოროვი**

# უკანასკნელი ცნობები
## უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

**ლონდონი**, 27 ოქტომბერი. (სააგენტო ესტეი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩერჩილი თემთა პალატაში გამოვიდა განცხადებით მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ. ჩერჩილმა თქვა:

„ომის ახლანდელი სტადია მკაცრი და ძნელია, და შეიძლება მოველოდეთ, რომ ბრძოლები ყველა ფრონტზე გაძლიერდება მასშტაბებითა და ინტენსივობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელ ეტაპზე ვიმყოფებით. მაგრამ ეს ისეთი შეხვიბრებაა, რომელშიც, ჩვენი ღონისძიებების ბოლომდე ტკივილრესი დაძაბვის გარეშე, ეს დასასრული შეიძლება გაგრძელდეს ისეთ საზღვრებამდე, რომლებიც თითქმის მოუთმენელია იმათთვის, ვის ხელშიც ამჟამად იმყოფება ინიციატივა ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ.

მტერს ორი იმედი აქვს, ერთი, იმის იმედი, რომ ბრძოლის გახანგრძლივებით მას შეუძლია დაასუსტოს ჩვენი გაბედულება, მეორე—და უფრო დიდმნიშვნელოვანი იმედი,—ეს არის იმედი უთანხმოების წარმოშობისა მასზე იერიშის მიმტან სამ დიდ სახელმწიფოთა შორის, ვისი ერთიანობაც, რომელიც გრძელდება, მის ბედს სწყვეტს“. „ი მტრის დიდი იმედი,—ამბობს ჩერჩილი,—და ჩვენი ღონისძიებანი განეწყვეტლივ უნდა იქნას მიმართული სწორედ იმისაკენ, რომ ამ იმედს წავართვათ ყოველგვარი საფუძველი და რეალობა“.

„მე ბედნიერი ვარ ვაცნობო პალატას,—ამბობს ჩერჩილი,—რომ ჩვენი ურთიერთობა, საბჭოთა რუსეთთან არასოდეს არა ყოფილა უფრო მჭიდრო, ახლო და გულთბილი, ვიდრე ამჟამად არის...

იქ, სადაც ჩვენ არ შეგვიძლია შეთანხმებას მივაღწიოთ, ჩვენ გვესმის მიზეზები, თუ რატომ არ ეთანხმება თვითეული, და შეგვიძლია გაკიგოთ ერთმანეთის თვალსაზრისი. მაგრამ პრობლემათა უაღრესად ფართო წრეში—განსაკუთრებლად ფართო წრეში, ყველა იმ თვალსაზრისისათვის ანგარიშის გაწევით, რომლითაც ჩვენ ამ საკითხებს ვუდგებით, სრულ თანხმობას მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ გაერთიანებული ვართ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში აბსოლუტურ გამარჯვებამდე და ამ მიზნისათვის ჩვენი ძლიერებისა და ენერგიის ყველა რესურსის მაქსიმალურ საზღვრამდე ერთობლივი გამოყენების საკითხში. დე გერმანელთა გულში მოკვდეს ყოველგვარი იმედითუნდაც ოდნავ უთანხმოებათა წარმოშობისა ან მათს გარშემო შემორკალული ძალების დასუსტებისა, რომლებიც გასტეხენ მათს წინააღმდეგობას“.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ბალკანეთის საკითხებში მიღწეულია სრული შეთანხმება.

ჩერჩილი შეეხო მოსკოვში განხილულ სამხედრო საკითხებს და განაცხადა: „პუნქტრივია, რომ მე არ შემიძლია რაიმე ვთქვა ამ მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილებათა გამო, გარდა იმისა, რომ მე ჭეშმარიტად უაღრესად კარგ, საუკეთესო გადაწყვეტილებად ჩავთვალე ისინი, რომლებიც შეიმლებოდა მიღებული ყოფილიყვნენ იმ მიზნით, რათა ევროპა გვეხსნა ომის მძიმე უბედურებათაგან რაც შეიძლება მოკლე ვადაში“.

ჩერჩილი შეჩერდა პოლონეთის პრობლემაზე და სთქვა: „თუმცა მე არ ვამცირებ დარჩენილ სიძნელეებს, სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ინგლისი, საბჭოთა რუსეთი და, არ მეეჭვება, შეერთებული შტატები მიდიდნენ მტკიცე შეთანხმებამდე იმის შესახებ, რომ საჭიროა ღონე გვენახ იქნას ძლიერი, თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული პოლონეთი, ლოიალური მოკავშირეთა მიმართ და მეგობრული მისი დიდი მეზობლისა და განმათავისუფლებლის—რუსეთის მიმართ“.

ჩერჩილი შეჩერდა საფრანგეთის პოლიტიკაზე და დასასრულ გააშუქა საბერძნეთში არსებული მდგომარეობა.

# ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების გავრცელება წარმატებით მიმდინარეობს

27 ოქტომბერს საღამოს 10 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში, არა სრული ცნობებით, ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 145.187.000 მანეთს. აქედან ქალაქად გავრცელებულია 30.343.000 მანეთისა და სოფლად 114.844.000 მანეთის ლატარიის ბილეთები.

ამავე დროისათვის ნაღდ ფულად შეტანილი იყო ქალაქების მოსახლეობისაგან 4.124.000 მანეთი და სოფლის მოსახლეობისაგან 97.659.000 მანეთი. სულ ნაღდად შემოსულია 101.783.000 მანეთი.

ქალაქ თბილისში ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 12.083.000 მანეთს. ლენინის რაიონში გავრცელებულია 1.433.000 მანეთის ბილეთები, სტალინის რაიონში — 2.078.000 მანეთისა, ორჯონიკიძის რაიონში — 1.315.000 მანეთისა, ბერიას რაიონში — 1.846.000 მანეთისა, 26 კომისრის რაიონში — 2.277.000 მანეთისა, კიროვის რაიონში — 1.285.000 მანეთისა, მოლოტოვის რაიონში — 899.000 მანეთისა.

* * *

### წყალტუბო

წყალტუბოს რაიონში ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების გავრცელების თანხამ ხელმოწერის პირველ დღესვე 1.000.000 მანეთს გადააჭარბა. აქედან სოფლად გავრცელებულია 840.000 მანეთის ბილეთები.

### ლაგოდეხი

ლაგოდეხის რაიონში გავრცელებულია 2.802.600 მანეთის ბილეთები. კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრებმა შეიძინეს — 60.000 მ

# პარტიული ცხოვრება

## კოლექტიურობა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში

25 ოქტომბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტბიუროს მდივნების, მათი მოადგილეებისა და ბიუროს წევრების თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის შესახებ.

თათბირზე სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილებანი.

ამხ. შახრამანოვმა (თბილისის ხორკომბინატის პარტბიუროს მდივანი) თათბირს მოუთხრო, თუ როგორ მონაწილეობენ პარტბიუროს წევრები სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობაში. მდივნის მოადგილე ამხ. ჩაუშიანი ავიტკოლექტივის ხელმძღვანელია, ბიუროს წევრი ამხ. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობს უპარტიო აქტივთან მუშაობას, აწყობს მათთან საუბრებს, რაზმავს მათ. პარტბიუროს წევრები წარმოებაში მოწინავენი არიან. მაგალითად, ამხ. მჭედლიშვილი საამქროს უფროსია და დავალებას მუდამ ასრულებს. ამხანაგები მარანიძე და რაზმაძე გეგმას ყოველდღიურად 50–80 პროცენტის გადამეტებით ასრულებენ.

რკინიგზის ნავთლუღის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ კომიტეტის წევრებს მიცემული არა აქვთ გარკვეული პარტიული დავალებანი, მათ მხოლოდ ერთდროული დავალებები ეძლევათ. კომიტეტის წევრები ამხ. კალინა, შეყრილაძე, ბიზნანშვილი აქტიურად მონაწილეობენ პარტიული კრებისათვის საკითხების მომზადებაში, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებაში.

მარგარინის ქარხნის პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. ბეჟანოვმა თათბირს მოუთხრო, თუ როგორ ასრულებენ ბიუროს წევრები პარტიულ დავალებას. აქ აღსანიშნავია ქარხნის დირექტორის ამხ. ა. სააკიანის მუშაობა. იგი აქტიურად მონაწილეობს პარტიული კრებებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში. ამხ. სააკიანს გარკვეული პარტიული დავალება აქვს, იგი პროპაგანდისტია და ხელმძღვანელობს მომდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეს.

თბილისის „წისქვილკომბინატის“ პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. რაზუმოვამ აღნიშნა, რომ გარდა მდივნისა და მისი მოადგილისა, ბიუროს წევრები პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში არ მონაწილეობენ, ისინი მხოლოდ სხდომებს ესწრებიან. აქ არც ერთი კომუნისტები არიან ჩაბმული პარტიულ მუშაობაში. პარტიულ ბიუროს სამუშაო გეგმა არა აქვს. კრებებზე საკითხების განხილვასა და პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვაში კომუნისტები არ მონაწილეობენ. პარტბიუროს მდივანმა ამხ. შახბაზიანმა ვერაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება კოლექტიურობა მე-9 გზათა სარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე: ამხ. სადაგაშვილი (ზეთსახდელ ქარხნის პარტბიუროს წევრი), ჩილინგაროვი (ბერიას სახელობის თეხსაბელის ფაბრიკის საგამომცხვარლო საამქროს პარტბიუროს მდივანი), ჩივაძე (თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი) და ამხ. ჯოხთაბერიძე (მაკარონის ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე) და სხვ.

შემაჯამებელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. გაბუნიამ.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის გასაძლიერებლად თათბირმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ლ. ჯავახაძე

## საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიონული კომიტეტის მე-3 კონფერენცია

ვანი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ჩატარდა საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიონული კომიტეტის მესამე კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა სამი საკითხი: 1. საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის ანგარიში, 2. საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის სარევიზიო კომისიის ანგარიში და 3. რაიკომისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის განელილი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ცხოვრებაძემ.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გ. შავაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 19 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის განელილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ცხოვრებაძე, მეორე მდივნად გ. ნამიჭეიშვილი, ხოლო მდივნად კადრების დარგში ამხ. ე. სიგუა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ჯაშმა.

ლ. იოგიძე

# სამღვენსკის ოქტის კოლმეურნეთა ვალდებულებანი

## 1 ნოემბრისათვის შეასრულონ კურის დამზადების გეგმა, 5 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფრონტში ჩააბარონ 100.000 ფუთი კური

ფრონტზე და ზურგში ახალი სახელოვანი გამარჯვებებით ხვდებიან საბჭოთა ქვეყნის მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს. მამაცი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი აღაფრთოვანებენ საბჭოთა ხალხს თავდადებული შრომისათვის. ჩვენ ყველანი ერთი აზრით ვცოცხლობთ — რაც შეიძლება მეტად და უკეთესად დავეხმაროთ ჩვენს წითელ არმიას უფრო მალე და საბოლოოდ გაანადგუროს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში.

ჩვენ, სამღვენსკის ოლქის კოლმეურნეები მხარს ვუჭერთ საბჭოთა უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელთა კეთილშობილურ თაოსნობას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისა და წითელი არმიის ფონდში პურის ზეგეგმით შეტანისათვის, ვემებით სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა შევასრულოთ 1 ნოემბრისათვის.

2. 5 ნოემბრისათვის დამატებით ჩავაბაროთ სახელმწიფოს წითელ არმიის პურის ფონდში გეგმის ზევით 100.000 ფუთი პური.

დაე ჩვენმა მცირემა წვლილმა მოაახლოოს გამარჯვების ნანატრი ჟამი.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას— ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს ჩვენს მამას, გრძენ ბელადსა და მასწავლებელს, დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

(ვალდებულებანი მიღებულია ოლქის კოლმეურნეობათა კრებებზე).

# საბჭოთა კავშირში

## განახლდა მეცადინეობა კაუნასის უნივერსიტეტში

სამი წლით შეწყვეტის შემდეგ განახლდა მეცადინეობა კაუნასის უნივერსიტეტში. ოთხი ფაკულტეტის ოთხი ათასამდე სტუდენტმა თვითანი ადგილები დაიკავეს აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში.

გერმანელები ცდილობდნენ მოესპოთ ლიტვური კულტურა, უნივერსიტეტი დახურეს და სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიის კატორღაში გაიტაცეს. უკანდახევისას ფაშისტებმა დაანგრიეს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის შენობა და გაძარცვეს უმაღლესი სასწავლებლის მდიდარი ლაბორატორიები. ამჟამად სტუდენტთა და პროფესორთა აქტიური მონაწილეობით უნივერსიტეტი აღდგენილია.

27 ოქტომბერი. (საკდესი).

## ესტონეთში აღდგენენ სასკოლო ქსელს

ტალინში მეცადინეობა დაიწყო 20 დაწყებითმა და საშუალო სკოლამ. დანარჩენი სკოლები პირველ ნოემბრისათვის გაიხსნება.

სკოლების ქსელს აღადგენენ ხარვეზისას, ვირუსისა და რესპუბლიკის სხვა მაზრებში. (საკდესი).

## მოკრავი ელექტროსადგურები განთავისუფლებული რაიონებისათვის

ლენინგრადის ქარხანა, რომლის დირექტორიც არის ამხ. რიბინი, მოძრავ ელექტროსადგურებს უშვებს განთავისუფლებული რაიონებისათვის. 650 სადგური უკვე დამზადებულია და გაიგზავნა უკრაინაში, ბელორუსიაში, ესტონეთისა და ლატვიის სს რესპუბლიკებში, სმოლენსკში, ფსკოვსა და ნოვგოროდში. (საკდესი).

განთავისუფლებულ რიგაში. მცხოვრებლები სიხარულით ეგებებიან წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს.

ფოტო ს. ნორდშტეინისა და უტკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

# საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

## მემანქანეთა მაღალნაყოფიერი მუშაობა

ტყიბული („კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტისაგან). ლენინის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც მედალოსანი სამთო ტექნიკოსი ლ. ვაშაიძე ხელმძღვანელობს, 23 ოქტომბერს მესამე ცვლაში გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის მოღების ოქტომბრის გეგმა. 1.700 ტონის ნაცვლად მოღებულია 1.706 ტონა ქვანახშირი. უბნის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი კ. მაწკეპლაძის, ს. ბუცხრიკიძისა და ა. ლებანიძის ცვლების მაღალნაყოფიერმა შრომამ.

უბნის ყველა მუშახტე გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. მოწინავე მნგრეველმა ა. დარსაძემ ოქტომბრის 20 დღეში, ერთი თვისა და ათი დღის გეგმა შეასრულა. ასევე წარმატებით მუშაობენ მნგრეველები ი. გვენეტაძე, ა. ბოკორიშვილი და მტვირთავები პ. მესხორაძე და შ. აფხაიძე.

ახლა ამხ. ვაშაიძის უბანში ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 90–100 ტონა ქვანახშირს ღოებენ. უბნის მეშახტეები გირდაძაული წითელი დროშის მოსაპოვებლად აბრძვიან.

დ. ქათამაძე

## ბორჯომელი სჯახანოველები

ბორჯომი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ბორჯომის საავეჯო ფაბრიკის (დირექტორი ს. კოკნაძე) კოლექტივმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი სამამულო ომის წლებში, როდესაც მან. მრავალი სიძნელის მიუხედავად, წარმატებით გადაწყვიტა ახალი საწარმოო ამოცანები. ომის პერიოდში მოვიდნენ აქ სამუშაოდ ახალი ადამიანები ფ. ხახაძე, ე. ბარათაშვილი, ა. ბერიძე, ო. მურჯიკნელი, მ. ქურდოვანიძე, თ. ჩუტკერაშვილი და მრავალი სხვა. ისინი მალე დაეუფლნენ არჩეულ პროფესიას და ახლა სტახანოვური შრომის სახელოვანი ოსტატები არიან ფ. ხახაძეს ათვისებული აქვს სამი პროფესია, ე. ბარათაშვილს და ა. ბერიძეს ორ-ორი პროფესია და ასე სხვა სტახანოველებს.

მოწინავე ადამიანების მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ბორჯომის საავეჯო ფაბრიკამ მიმდინარე წლის 9 თვის დაკალება 156 პროცენტით შეასრულა და 8 თვის განმავლობაში საწარმოს 108.000 მანეთის ნაკონომია მიაცა. თვითეული მუშის საშუალო გამომუშავებამ 9 თვის განმავლობაში ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 14.962 მანეთისა 22.727 მანეთს მიაღწია, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება იმავე 9 თვის განმავლობაში 10 პროცენტით შემცირდა

ბორჯომის საავეჯო ფაბრიკის სტახანოველები ახლა შეუსვენებლივ ებრძვიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

პ. გელაშვილი

## კოლმეურნეები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ქასპი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). სოფელ ჩობალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ზ. მოზრაშვილი) წევრები წარმატებით ასრულებენ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. საშემოდგომოდ მოხნულია 107 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 104 ჰექტარისა. მთავრდება თესვა. მზრალად მოხნულია 50 ჰექტარი—დავალება მთლიანად არის შესრულებული.

კოლმეურნეობამ პირნათლად მოიხადა ვალი სახელმწიფოს წინაშე. მან სახელმწიფოს ჩააბარა 11.200 კილოგრამი მარცვლეული. წითელი არმიის ფონდში გეგმის გადაჭარბებით აბარებენ 1.000 კილოგრამ სიმინდს. ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად გამოყოფილია 850 კილოგრამი ხორბალი, 800 კილოგრამი ქერი და 1.000 კილოგრამი სიმინდი.

წელს ამ კოლმეურნეობაში უხვი მოსავალი მოიღეს. ჰექტარზე მოყვანილია 12,5 ცენტნერი ქერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერისა, 18 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა. შრომადღეზე გაანაწილეს 7 კილოგრამი მარცვლეული.

კარგად მუშაობს პირველი ბრიგადა, რომელსაც ე. მიდელაშვილი ხელმძღვანელობს. კოლმეურნეებმა ი. ჯოდალაშვილმა, ლ. გამბიტაშვილმა და რ. ქასოშვილმა გამომუშავებულ შრომადღეებზე ორ-ორი ტონა მარცვლეული მიიღეს.

წვრმატებით მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის ამოღება და გადაზიდვა.

კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულება იკისრეს—გეგმის გადამეტებით 1 ნოემბრამდე დასთესონ 10 ჰექტარი.

ჯ. ჯუჯალაძე

## მწიფდება ციგრუსების ნაყოფი

მახარაძე („კომუნისტის“ სპეც. კორ.). წელს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარგად მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის მოსავალი. სახელმწიფოს ჩაბარდება 50 მილიონამდე ნაყოფი. მარტო ურეკის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი შ. გოგუაძე) ქვეყანას მისცემს 15 მილიონამდე ციტრუსს. მეურნეობას კრეფისათვის უკვე მომზადებული აქვს კალათები, მაკატლები, ჩანთები. ახლა სწარმოებს მკრეფავთა მომზადება.

სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. გეგიაძე) წელს მოჰკრეფს 30.000 ცალზე მეტ მანდარინს. პლანტაციების საუკეთესოდ მოვლის შედეგად ნაყოფიც მშვენიერია. ციტრუსების მოვლის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩევა ე. დუმბაძის ბრიგადა. კარგად მუშაობენ სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. უჯმაჯურიძე). ეს კოლმეურნეობა წელს პირველად მისცემს ქვეყანას 35.000 ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს.

სოფელ ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ჯაბუა) პლანტაციები 3–4-ჯერ გათხნილი და რიგებში გამოცელილია, ყველა მსხმოიარე ხის ძირში შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქი. ბ. ფერაძის, გ. გუჯაბიძის და მ. ბაღათურიას ბრიგადებში თვითეულ ხეს 3–5 ათასამდე ნაყოფი ასხია. პახახანოურად მუშაობენ ციტრუსების ოსტატები—მ. წითლიძე, ს. ტაკიძე. კოლმეურნეობა წელს სახელმწიფოს აბარებს 10 მილიონ ცალ ციტრუსს. ზამთრისათვის ხეების ასაკრავად უკვე დამზადებულია 100.000 ცალზე მეტი სარი, დრაცენის ფოთლები. სტანდარტული ნამყენის შესანახად აგებულია ახალი ფარდული.

სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. ორაგველიძე) 8 მილიონზე მეტ ნაყოფს მისცემს ფრონტსა და ქვეყანას.

კოლმეურნეობა მზად არის კრეფისათვის. აქ მარტო შ. ხომერიკის ბრიგადა ერთ მილიონ ნაყოფს მისცემს სახელმწიფოს. შარშან ამ ბრიგადამ 600.000 ციტრუსი ჩააბარა. პლანტაციების გამოზამთრებისათვის კოლმეურნეობაში მომზადებულია 300.000 სარი, შესაფუთავად აგროვებენ ჩალას, გეომრას.

რაიონში ემზადებიან ციტრუსების გამოზამთრებისათვის. ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის 25.000 ერთწლიანი ნამყენი ფარდულებში იქნება გამოზამთრებული. ამისათვის მომზადებულია 7 ფარდული, მთავრდება დამატებით ორი ფარდულის შეკეთება.

ტ. თოდრაძე

## ბჭინეველ კოლმეურნეთა წარმატებანი

ჭიათურა („კომუნისტის“ ხაკ. კორ). ბჭინევი დიდი სოფელი როდია. მაგრამ ამ სოფლიდან 76 ვაჟკაცს დაულოცეს გზა სამამულო ომში. ეს როდი დაეტყო კოლმეურნეობას. მართალია, იყო სიძნელეები, მაგრამ ისინი დასძლიეს. უხვი მოსავლისათვის ერთსულოვნად დაირაზმა მთელი სოფელი, მუშაობდა მოხუცი და ჭაბუკი, ქალი და კაცი.

ბჭინეველმა კოლმეურნეებმა 12 ჰექტარით გაადიდეს სათესი ფართობი. კადამდე და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს ყველა სამუშაო. ბარაჭიანი მოსავალიც მიიღეს. შარშან თითოეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 1,24 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს და შრომადღეზე 5 კილოგრამამდე პროდუქტი და 4 მანეთი ფულად დაარიგეს.

კოლმეურნეობა უხვ მოსავალს იღებს წელსაც. კოლმეურნეებმა ხუთი თვით ადრე შეასრულეს ხორცის, ყველის, ტყავის, მატყლის, კვერცხის ჩაბარების წლიური გეგმები და ბევრი რამ მომავალი წლის ანგარიშიც ჩააბარეს.

ბჭინეველი კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ“ თავისი წარმატებებით მთელ რაიონში გაითქვა სახელი. ვინ სჯერდა ამ წარმატებებს?

აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან ახოლტე მოდებაძის, ზურაბ აბდუშელიშვილის და სერგო ჯაბანაძის ბრიგადები. ცუდად მუშაობსო — ვერც ერთზე ვერ იტყვით, მაგრამ მაინც გამოირჩევა ბრიგადა, რომელსაც სამამულო ომის მონაწილე ამხ. ჯაბანაძე ხელმძღვანელობს. იგი ყველგან და ყველაფერში დაუზარებელი და მოწინავეა, ყველა სამუშაოს ვადამდე და მაღალხარისხოვნად ასრულებს. პირადად ამხ. ჯაბანაძემ 200 შრომადღე გამოიმუშავა.

კოლმეურნე ქალი ე. ბაძგარაძე 70 წლისაა. მან თავისი ერთად-ერთი შვილი სამშობლოს მისცა, მაგრამ უვაჟკაცობა როდი დაატყო ოჯახს. მას 120 შრომადღე აქვს. ასევე თავდადებულად მუშაობს კოლმეურნე ქალი ს. ჯაბანაძე. მას მეუღლე ჯარში ჰყავს, ოთხ პატარა ბავშვს კი იგი უწევს დედობასაც და მამობასაც. მუყაითი შრომით მან 150 შრომადღე გამოიმუშავა. დიდ შრომისმოყვარეობას აჩენს ავრეთვე ფრონტელის მეუღლე და შვიდი შვილის დედა მარო კაპანაძე. მის ოჯახს 300-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

კოლმეურნეობა ამაყობს ისეთი გამორჩეული ადამიანებით, როგორიც არიან გ. დვალაშვილი, რ. მეგრელიშვილი, გ. ნეკაძე, პ. რაზმაძე, ა. დვალაშვილი, გ. მოღებაძე, გ. დვალაშვილი, ს. დვალაშვილი, აღ. რაზმაძე, დ. აბდუშელიშვილი.

მეცხოველეობის ფერმას თამარ ბაძგარაძე განაგებს. საქონლის მოვლაში ერთმანეთს სჯობიან ცაგო მოდებაძე, თამარ რაზმაძე, გალინა კილაძე. ისინი ანარჩუნებენ ნამატს, ზრდიან პროდუქტიულობას. შარშან ყოველ ძროხაზე გეგმის გადამეტებით 220 ლიტრი რძე მიიღეს. წელს კი ეს ციფრი უკან მოიტოვეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ს. აბდუშელიშვილი არა მარტო კარგი მეურნეა, იგი კარგი ორგანიზატორიც არის. მან იცის ყოველი კოლმეურნის გულისხმიერება. თავმჯდომარი ყოველთვის მათთან არის, შველას მათ. კოლმეურნეებსაც დიდი ხათრი და პატივისცემა აქვთ თავმჯდომარისა. თავმჯდომარის სიტყვა მათთვის კანონია.

ბჭინეველთა მუყაითი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ამ კოლმეურნეობაში მეორე წელია ფრიალებს რაიონის გარდამავალი წითელი დროშა. კოლმეურნეები ამბობენ ხოლმე: ამ დროშას გარდამავალს ნუ დაუძახებთ, იგი მუდამ ჩვენს კოლმეურნეობაში იქნებაო. მათ აქვთ ამის საფუძველი.

კოლმეურნეობა „წითელი დროშა“ ახლა იბრძვის საშემოდგომო თესვის წარმატებით დასამთავრებლად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის ახალი გამარჯვებებით შეხვედრად.

პ. ჭიოკაძე

## წლიური გეგმის შესრულება

საქართველოს პურის ტრესტის მთელმა რიგმა ქარხნებმა უკვე შეასრულეს წლიური საწარმოო დავალებები.

ტრესტის აფხაზეთის განყოფილებამ, რომელიც 7 პურსაცხობ ქარხანას აერთიანებს (მმართველი დ. შავგულიძე), 1 ოქტომბრისათვის 110,6 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის გეგმა. ამავე დროის განმავლობაში აფხაზეთის პურსაცხობმა ქარხნებმა ცხობის ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით 220 ტონა პურის ფქვილის ეკონომია გასწიეს.

წლიური საწარმოო გეგმები შეასრულეს აგრეთვე ზესტაფონის პურსაცხობმა ქარხანამ (დირექტორი ო. ბუხნიკაშვილი), რომელმაც წლიური გეგმა 189,6 პროცენტით შეასრულა, ტყიბულის ქარხანამ (დირექტორი მარგველაშვილი) გეგმა შეასრულა 150,4 პროცენტით და ბორჯომის პურსაცხობმა ქარხანამ (დირექტორი დანელია),—გეგმა შეასრულა 127,2 პროცენტით.

# დღეისთვის

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია: გერტრუდენბოშის უმეტესი ნაწილი მოკავშირეთა ხელშია. მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ფრონტის მთელ უბანზე და ღრმად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის ნაგებობათა ხაზს აქით, რომელიც გერტრუდენბოშიდან და ტირბურგიდან იწყება.

გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგემ უკან დაიხია ფრონტის მთელი უბნის გასწვრივ როზენდაალსა და ტილბურგს შუა. მოკავშირეთა ნაწილები იმყოფებიან ტილბურგის აღმოსავლეთ და სამხრეთ გარეუბნებში.

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ბევერლანდის ნახევარ კუნძულის ყელზე. ლეოპოლდის არხის – ანტვერპენ ანსენ ტურნჰოუტის არხებს შორის ტერიტორიაზე მოკავშირეთა ჯარებმა დაასრულეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და რამდენადმე წაიწიეს წინ. ლუნებურგის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეებმა გერმანელთაგან გაწმინდეს კურის ტყე და მაღლობი ტყის ჩრდილოეთით. ლუნებურგის რაიონში მოგერიებულ მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიშ ებისა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეებმა დაასრულეს გერმანელთა გაწმენდა ბული წინააღმდეგობა და წინ მიიწევდნენ.

მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა წინააღმდეგის ობიექტებზე რაინის ოლქში.

### საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მე-8 არმიის ნაწილები ფართო ფრონტით მიადგნენ მდინარე რონკოს; პატრულებმა ეკვე გადალახეს მდინარე რამდენიმე ნაწილში.

ბოლონიის რაიონში მე-5 არმიის მეწინავე ნაწილებმა რამდენადმე წაიწიეს წინ და ზიციები გაიუმჯობესეს.

საბერძნეთში მოკავშირეთა სახმელეთო ძალები ბერძენ პარტიზანებთან ერთიერთობით განაგრძობენ მტრის ზურგის ბომბებით დაბომბეს ლარისის რაიონში.

მოკავშირეთა ავიაციამ დაბომბა მნ სამხედრო ობიექტები საბერძნეთში, აგრეთვე ობიექტები ეგეოსის ზღვაში.

## ჯარიმანის განცხადება ჰიჯღერელთა მხეცობის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის სტენტორი პრეს-ს ცნობილია ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ჰარიმანმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გერმანელთა მხეცობა როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ ოკუპირებულ რაიონებში, ისე პოლონეთში, შეუძლებელია გაზვიადებულ იქნას. ამერიკელ ხალხს საერთოდ არ ესმის გერმანელთა მხეცობის მთელი საშინელება. შეუძლებელია გაკაზვიადოთ რუსი პოლონელი ტყვეების წამებისა და მკვლების დროს გერმანელთა მიერ ნახმარი საშინელებანი. ცნობები ნაცისტურ ბანაკებიდან დაზოცილ მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ შეიძლება ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ ამ შეთანხმებლობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმ მასობრივი მკვლელობის ნამდვილ სანუალებებთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა სჩადიან.

## საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ მიმართვა ფინელი ხალხისადმი

ჰელსინკი, 27 ოქტომბერი (საკდესი). ჰელსინკის გაზეთებში გამოქვეყნებულია საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ მიმართვა ფინელ ხალხისადმი.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებათა მეოხებით ფინეთმა თავი დაიწია ნაციზმთა ხელისუფლების დამყარების საფრთხეს, — ნათქვამია მიმართვაში. დემოკრატიის განხორციელება და დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების შესრულება ფინელი ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

## სოფიაში შეიქმნა კულტურული კავშირის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოება

სოფია, 24 ოქტომბერი (საკდესი). სოფიაში შეიქმნა კულტურული კავშირის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების სარდანიშნაცია კომიტეტი, რომელმაც უკვე დაიწყო თავისი მოღვაწეობა.

სარგანიზაციო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო, მეცნიერიერ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას — ხელი შეუწყონ ქალაქებსა და სოფლებში კულტურულ კავშირის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა მოწყობას.

სარგანიზაციო კომიტეტში შევიდნენ პროფესორი დონჩო კოსტოვი, გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ ყოფილი რედაქტორი კრუმ კოლაკოვი და სხვ.

სოფიაში უკვე გახსნილია საბჭოთა წიგნების ბიბლიოთეკა, იმ დღეებში გაიხსნება მეორე.

## ბერძენი ხალხი მოითხოვს ჰიჯღერელთა დამნაშავეების დასჯას

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ათენის საზოგადოებრიობა მოითხოვს მოღალატეთა დასჯას. გუშინ ათენის ცენტრში ხდებოდა დემონსტრაციები. ლოზუნგით „ზურაძიება მოღალატეებისადმი“. ათენის გაზეთებმა გამოაქვეყნეს დეკრეტი მოღალატეთა ბის გასარჩევად სპეციალური სასამართლოს შექმნის შესახებ. კანონი ითვალისწინებს სხვადასხვანაირ სასჯელს: სულდასჯით დაწყებული სამოქალაქო უფლებათა აყრამდე.

## კანიკული განწყობილება ჰიჯღერელთა შორის ვენაში

სტოკჰოლმი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). სკანდინავიის დეპეშათა ბიურო გადმოგვცემს, რომ გერმანელთა შორის ვენაში გამეფებულია პანიკური განწყობილება. შეშინებული ჰიტლერელები ცდილობენ დაშალონ ჰიტლერული პარტიის წევრობა და ერიდებიან ვიანი ნიშნების ტარებას. ბევრი გერმანელი ვენიდან გერმანიაში გარბის.

## გერმანიის სამხედრო სანავთობო დაბომბვა

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გუშინ ამერიკის 1.200-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი, რომელთაც თან ახლდა 650 ავიაბომბდამშენი, დაბომბეს ნავთობის ორ ქარხანას გერმანიაში.

## თეატრებში

28 ოქტომბერს: სახელმწიფო ოპერა — „პატარა კახი“. რუსთაველის სახელობის — „სამშობლო“. მარჯანიშვილის სახელობის — „ეამთაბერის ასული“ გრიბოედოვის სახელობის—„კრეჩინსკის ქორწინება“. სომხური—„ლალატი“. ახუნდოვის სახელობის—„გულშან-ანა“. მუსკომედიის—„მზია დაბნელება“. სანკულტურის—„სევდიანი რომანი“.

## კინოებში

28 ოქტომბერს: რუსთაველის სახელობის—„ზოია“. ოქტომბერი—„გრიგალი“. ... ქვრელი—„ჯორჯა დინკ-ჯაზბენდი“. კომედია—„უმზითვო პატარძალი“. ... —„მზიური ველის სირენადა“. ლუკასმეურ... გის სახელობის—„მასწავლებელი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ბ. ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 08123

დედა ლიზა, მეუღლე, ქალდო, შვილები ერმილე და ტელმანი, ძმა შალვა, სიძეები ვასილი და სეფე ცოლ-შვილით იუწყებიან გალაქტიონ თედორეს-ძე ციხისელის გარდაცვალებას. გამოსვენება 29/X, 4 ს. ლენინგრადის, 7.

კომბინატ „კომუნისტის“ მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან კომბინატის ძველი მუშის გალაქტიონ თედორეს-ძე ციხისელის გარდაცვალებ